განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

დასკვნა* შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირმა გრძელიძე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

გოჩა თუთბერიძე, შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

ნინო ამირანაშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

თინათინ გაბრიჩიძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

* აღნიშნული დასკვნის ფორმა ეხება 2018 წლის 1 იანვრამდე განხორციელებულ შეფასებებს.

თბილისი
2018

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

2017 წლის 7-8 დეკემბერს შედგა ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის ვიზიტი შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიაში. ავტორიზაციის ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ, წინასწარ გაცნობოდნენ ელექტრონულად წარმოდგენილ დოკუმენტაციას (კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამები; ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ვიზიტების დასკვნები; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებები; უსდ-ის თვითშეფასების წლიური ანგარიშები; შპს „თბილისის საერთაშორისო აკადემიის" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ამონაწერები მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან; საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებები; აბიტურიენტთა ცნობარები). ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტებს ასევე რექტორის უფლებამოსილი პირის მიერ მიეწოდათ მოთხოვნილი დოკუმენტაცია მატერიალური სახით, თუმცა ამ დოკუმენტაციის დიდი ნაწილი ადმინისტრაციისავე განცხადებით, აღმოჩნდა ძველი და მოგვიანებით წარმოდგენილ იქნა ახალი.

ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა თბილისის საერთაშორისო აკადემიის ადმინისტრაციის, აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლების წარმომადგენლებს.

ინსტიტუციაში სამი თვის წინ შეიცვალა მართვის რგოლი. შესაბამისად, დაწესებულების მისია, ხედვა, სტრატეგია და მარეგულირებელი დოკუმენტები განახლების პროცესშია, თუმცა ინტერვიუების შედეგად გამოირკვა, რომ ამ პერსონალს ნაკლებად აქვს ცოდნა იმ დოკუმენტების შესახებ, რომელთა შესაბამისადაც დაწესებულება გასული წლების განმავლობაში მოქმედებდა.

რექტორმა, განაცხადა, რომ შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის მფლობელების, რექტორის, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირებისა და დაწესებულების მისამართის ცვლილების თაობაზე აცნობეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრის სამმართველოს. როგორც მოგვიანებით გამოირკვა, აღნიშნულის თაობაზე ცენტრი ინფორმირებული არ იყო. დაწესებულებამ რექტორის საკონტაქტო ინფორმაცია მოთხოვნილი წერილის საპასუხოდ მიაწოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და არა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფი, მოთხოვნის მიუხედავად, ვერ შეხვდა დაწესებულების დამფუძნებლებს, რის გამოც ექსპერტებმა ვერ მიიღეს დადასტურებული ინფორმაცია ინსტიტუციის სამომავლო განვითარების პერსპექტივების შესახებ, მათ შორის: ფინანსური მდგრადობა, ორგანიზაციული განვითარება და ა.შ.

რეკომენდაციები

- დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს წერილობითი დოკუმენტი საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცედურის შესახებ, რომელიც იქნება გაწერილი დეტალურად, რომელშიც გამოჩნდება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, როგორც პროგრამის შემუშავების/დამტკიცების, ისე მისი განვითარების პროცესში;
- დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის არსებული დოკუმენტისა და რეალურად მოქმედი სისტემის თავსებადობა;
- დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს და ვებ-გვერდზე განათავსოს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც იქნება მოცემული ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების შესახებ;
- უზრუნველყოფილ უნდა იქნას დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის

  (შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის რექტორის 2017 წლის 12 აპრილის №ბ/36 ბრძანებით დამტკიცებული შპს "თბილისის საერთაშორისო აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი") კანონმდებლობასთან შესაბამისობა და მისი გამართულობა;
- დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს და დანერგოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც სტუდენტებს საშუალებას მისცემს გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი და დამოუკიდებლად შეიმუშაონ საკუთარი ინდივიდუალური პროფილი;
- დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას;
- რეკომენდირებულია, დაწესებულებასთან შუქნიშნის ან ქვეითთა გადასასვლელის განთავსება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების უსაფრთხო გადაადგილებას;
- ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდების უზრუნველყოფა;
- გათბობის საშუალებების მოწესრიგება სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ტემპერატურის უზრუნველსაყოფად;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სათანადო ზომების მიღება;
- პირველადი სამედიცინო დახმარების ნაკრების შეძენა;
- დაცვის თანამშრომელთა კონტინგენტის გაზრდა;
- წიგნების ბეჭდური ფონდის და სამკითხველო დარბაზის მოწესრიგება და მათი სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- დაწესებულების ვებგვერდის ბიბლიოთეკის განყოფილების მოწესრიგება;
- ბიბლიოთეკის ვებგვერდის განახლება და მასზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსება;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების შესახებ სტუდენტების ინფორმირება სათანადო საშუალებებით;

- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს რესურსების მზაობა და მათი უწყვეტად გამოყენების შესაძლებლობა სტუდენტებისთვის და აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის;
- სასურველია, დაწესებულებას ჰქონდეს ელექტრონული საქმისწარმოების წესი, ხოლო საქმისწარმოების მატერიალურად შენახვისას აუცილებელია მათი სათანადო ფორმით წარმოება (მაგ. აკინძვა, დამოწმება);
- ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგზე თავისუფალი წვდომის დაშვება;
- სასურველია, სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმებზე მუშაობისას მოხდეს დაწესებულების წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინება, მათ შორის - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტების დასკვნებისა და ავტორიზაცის ოქმის განხილვის გზით. ასევე, აუცილებელია სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმებზე მუშაობის პროცესში ჩართული იყოს ყველა დაინტერესებული მხარე;
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს აკადემიური/მოწვეული პერსონალის მდგრადობა;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალი ინფორმირებული უნდა იყოს ხელშეკრულების არსებითი პირობების შესახებ.

შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		☐	☐	×
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).	☐	×	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების შესახებ.	☐	×	☐
1.3	საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის შედეგები აღწერილია დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით და შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ დარგობრივ სტანდარტებს.	×	☐	☐
1.4	დაწესებულებას თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.	☐	×	☐

1.5	დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობას.	☐	×	☐
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი.	☐	×	☐
1.7	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა, მკვლევართა ან მოწვეული პერსონალის მიერ.	×	☐	☐
1.8	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	☐	☐	×
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		☐	☐	×
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს.	☐	×	☐
2.2	დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები უზრუნველყოფს დაწესებულების მისიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.	☐	☐	×
2.3	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.	☐	×	☐
2.4	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა	☐	×	☐
2.5	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის.	×	☐	☐
2.6	მატერიალური რესურსი, მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის.	☐	×	☐
2.7	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.	☐	×	☐
2.8	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას, ასევე უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა.	☐	☐	×
2.9	დაწესებულებაში არსებობს ბიბლიოთეკის კატალოგი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი.	☐	☐	×
2.10	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.	☐	×	☐
2.11	ვებ-გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, აკადემიური პერსონალი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.	☐	×	☐
2.12	უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევების დაფინანსება.	☐	☐	×

2.13	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	☐	☐	×
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		×	☐	☐
3.1	დაწესებულების აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის, მკვლევართა და მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.	×	☐	☐
3.2	დაწესებულებაში სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა დაწესებულების სახისა და პროგრამების რაოდენობის მიხედვით.	×	☐	☐
3.3	საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ხორციელდება მხოლოდ მოწვეული პერსონალის, მკვლევარების ან მასწავლებლების მიერ.	×	☐	☐
3.4	აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.	×	☐	☐
3.5	აკადემიურ პერსონალთან, მოწვეული პერსონალთან, მკვლევარებთან ან მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	☐	×	☐

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები

1.1.
დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო დაწესებულება ახორციელებს 2 აკრედიტებულ საგანამანთლებლო პროგრამას: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა და ქართულ ენაში მომზადების საგანამანათლებლო პროგრამა და სამ არააკრედიტებულ პროგრამას: ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები: ბიზნესის ადმინისტრირება და საერთაშორისო ურთიერთობები და ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა: საერთაშორისო ურთიერთობები. ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი პროგრამების მიზანი და სწავლის შედეგები ძირითადად იდენტურია. საგანამანთლებლო პროგრამები შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად და აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. თითოეულ პროგრამას ახლავს სასწავლო კურსების სილაბუსები. თუმცა, წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები 2014 წლისაა. დანართის სახით ინსტიტუციამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა სილაბუსებში არ არის გათვალისწინებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებაში შესული ცვლილებები. აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ მათ აქვთ ინფორმაცია სტუდენტის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის შესახებ. თუმცა დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ გამოცემული ბრძანება შეფასების სისტემის შესახებ და სილაბუსებში არსებული ინფორმაცია, აგრეთვე ინტერვიუს შედეგები არ ემთხვევა ერთმანეთს. აღნიშნულ სისტემასთან დაკავშირებით როგორც საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებმა, ისე პერსონალმა, განსხვავებული პასუხები დააფიქსირეს. ხოლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ინსტრუქციაში არსებული შეფასების სისტემა სხვა მაჩვენებლებს მიუთითებს. ასევე, დაფიქსირდა სილაბუსების შეუსაბამობა აკადემიური კალენდარსა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესთან. შუალედური გამოცდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და აკადემიურ კალენდარში მითითებული იყო მე-8 კვირაში, ხოლო სილაბუსებში - მე-9 კვირაში. ინტერვიუების შედეგად განსხვავებული პასუხები მივიღეთ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: საგანმანათლებლო პროგრამები; ვებგვერდი: http://tsa.ge/ ; ინტერვიუ რექტორთან და თვითშეფასების ჯგუფთან; თბილისის საერთაშორისო აკადემიის რექტორის N8-01-71,16.10.17 ბრძანება "შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიაში 2017-2018 სასწავლო წლის დაწყების, აკადემიური კალენდრისა და სასწავლო ცხრილის შესახებ" ;

"სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი".

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

რეკომენდაციები:

- დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს დეტალურად გაწერილი წერილობითი დოკუმენტი საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცედურის შესახებ, რომელშიც გამოჩნდება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა როგორც პროგრამის შემუშავების/დამტკიცების, ისე მისი განვითარების პროცესში;
- დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის არსებული დოკუმენტისა და რეალურად მოქმედი სისტემის თავსებადობა.

1.2.

დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების შესახებ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვიზიტისას დაწესებულებას არ გააჩნდა ვებგვერდზე ატვირთული საგანამანათლებლო პროგრამის აღწერილობა (კატალოგი). ვებგვერდზე ვიზიტის განმავლობაში აიტვირთა 2 საგანმანათლებლო პროგრამა. იხ. ლინკი http://www.tsa.ge/Ge/Faculty/EducationPrograms/2

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

ვებგვერდი: http://tsa.ge/;
ინტერვიუ რექტორთან და თვითშეფასების ჯგუფთან.

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

რეკომენდაციები: ○ დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს და ვებგვერდზე განათავსოს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც იქნება მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების შესახებ

1.3.
საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის შედეგები აღწერილია დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით და შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ დარგობრივ სტანდარტებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანამანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები აღწერილია დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით და შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ სტანდარტებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ საგანმანათლებლო პროგრამები; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები.
შეფასება: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
რეკომენდაციები:

1.4.
დაწესებულებას თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მონიტორინგის ვიზიტის დროს შპს "თბილისის საერთაშორისო აკადემიამ" წარმოადგინა აკადემიის რექტორის მიერ დამტკიცებული "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", რომელიც მოიცავს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების პროცედურებსა და მექანიზმებს. აღნიშნული წესის განხილვისას გამოვლინდა შემდეგი ტექნიკური და შინაარსობრივი ხასიათის ხარვეზები:

მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში, რომელშიც მოცემულია ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩასარიცხი პირების ენის კომპეტენციის დონის განსაზღვრის წესი, მითითებულია, რომ ინგლისური ენის შიდა გამოცდა ჩატარდება 23-ე მუხლით დადგენილი წესით, ხოლო 23-ე მუხლში აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება და არა ინგლისური ენის გამოცდის ჩატარების პროცედურები; მე-4 მუხლის პუნქტი 1 და მე-5 მუხლის პუნქტი 1 მოსაყვანია შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის № 224/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების /მაგისტრანტობის კანდიდატების / სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“ დღეისათვის მოქმედ რედაქციასთან. მე-5 მუხლის პუნქტი 1/დ - ის პირები, რომელმაც გადალახეს შესაბამის ზღვარი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საერთაშორისო გამოცდების ჩამონათვალით გათვალისწინებულ გამოცდაში. - არ არის მითითებული შესაბამისი ბრძანება და თუ რა სახის გამოცდები იგულისხმება, გაუგებარი რჩება; მე-8 მუხლის პუნქტი 2 შესაბამისობაშია მოსაყვანი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 10/ნ ბრძანებასთან. კერძოდ, სტატუსშეწყვეტილი სტუდენტის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს: გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი; მე-9, მე-10 და მე-11 (პუნქტი 6) მუხლებში მითითებული დანართები (ასაღიარებელი კრედიტების ფორმა, განცხადების ფორმა, აღიარებული კრედიტებისა და სემესტრის დადასტურების ფორმა, დაწესებულებიდან გადასვლის განცხადების ფორმა, კითხვარი. ასევე, შიდა მობილობის განცხადების ფორმა) - ჯამში 6 დანართი არ ერთვის წესს. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ცნობით, აღნიშნული დანართების მოძიება ვერ მოხერხდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის რექტორის 2017 წლის 12 აპრილის Nბ/36 ბრძანებით დამტკიცებული შპს “თბილისის საერთაშორისო აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
რეკომენდაციები: უზრუნველყოფილ უნდა იქნას დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის კანონდმებლობასთან შესაბამისობა და მისი გამართულობა.

1.5.
დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანამანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის 30 კრედიტის მოცულობით არჩევით სასწავლო კურსებს და ასევე 30 კრედიტის მოცულობით თავისუფალ სასწავლო კურსებს. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ თავისუფალი სასწავლო კურსები აირჩიონ აკადემიაში მოქმედი ნებისმიერი საგნამანათლებლო პროგრამიდან. ვიზიტის ფარგლებში აღმოჩნდა, რომ ორ სტუდენტს სხვადასხვა პროგრამიდან ერთი და იმავე საგნები ჰქონდათ შეთავაზებული პირველ სემესტრში „ზოგადი მოდულიდან". ვიზიტის განხორციელების პერიოდისათვის დაწესებულებაში არ ფუნქციონირებდა საგანამანათლებლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც მისცემდა სტუდენტს საშუალებას აერჩია სასწავლო კურსები და დამოუკიდებლად განეხორციელებინა ინდივიდუალური პროფილის ფორმირება. ინტერვიუს დროს რექტორმა განმარტა, რომ მიმდინარე ეტაპზე ძირითადად გამოიყენება ელექტრონული ფოსტა, სადაც სტუდენტებს ეგზავნებათ სასწავლო კურსების სილაბუსები და სხვა ინფორმაცია. თუმცა ვიზიტის დროს სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად ეს ინფორმაცია არ დადასტურდა. დაწესებულების ვებ-გვერდზე აკადემიური კალენდარი ვიზიტის დროს განთავსდა. მომავალში კი იგეგმება ელექტრონული სისტემის დანერგვა, რომელიც სტუდენტებს ინდივიდუალური პროფილის ფორმირების საშუალებას მისცემს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ ბიზნესის ადმინისტრირების და საერთაშორისო ურთიერთობების ქართული და ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები; ○ ინტერვიუ რექტორთან; ვებ-გვერდი: http://tsa.ge/.
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
რეკომენდაციები: დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს და დანერგოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც სტუდენტებს საშუალებას მისცემს გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი და დამოუკიდებლად შეიმუშაონ საკუთარი ინდივიდუალური პროფილი.

1.6.
დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანამანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც გაწერილია "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-16 მუხლში და გულისხმობს შეცვლილი ან გაუქმებული პროგრამების სტუდენტებისათვის მილევად რეჟიმში არსებული ან მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის არსებობას მიღებული კრედიტების გათვალისწინებით. დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას მობილობის შესაძლებლობების შესახებ. ამასთანავე, დაწესებულებას გააჩნია მემორანდუმები რამდენიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. თუმცა ,,შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში" მითითებულია, რომ გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის მილევად რეჟიმში არსებობა შესაძლებელია მიმდინარე საფეხურის დასრულებამდე (მუხლი 16, პუნქტი 6), რაც შეუსაბამოა კანონმდებლობასთან. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება ნიშნავს, რომ სტუდენტებმა უნდა ისარგებლონ მობილობით. მუხლი 22, პუნქტი 7 - აღნიშნულია, რომ რომ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილება მტკიცდება ამ წესის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული პროცედურების დაცვით, ხოლო აღნიშმული 21-ე მუხლის მე-4 პუნქტი ეხება სემესტრში კვირების განაწილებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის რექტორის 2017 წლის 12 აპრილის N8/36 ბრძანებით დამტკიცებული "შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
რეკომენდაციები: ○ რეგულაცია გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის მილევად რეჟიმში განხორციელებასთან დაკავშირებით შესაბამისობაში უნდა იყოს კანონმდებლობასთან.

1.7.
საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა, მკვლევართა ან მოწვეული პერსონალის მიერ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ ვიზიტის დროს გადამოწმდა პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები, მათი კვალიფიკაციის, სამეცნიერო კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობის ამასახველი დოკუმენტაცია. დოკუმენტაციების შესწავლით და ინტერვიუთი აკადამიურ და მოწვეულ პერსონალთან დგინდება, რომ პროგრამები ხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ○ პირადი საქმეები; ○ ინტერვიუს შედეგები.
შეფასება: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
რეკომენდაციები:

1.8.
დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვიზიტის დროს დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელშიც ასახული იქნებოდა რაიმე ცვლილებები ავტორიზაციის და პროგრამული აკრედიტაციის ვიზიტის დასკვნებიდან გამომდინარე რეკომენდაციების გათვალისწინებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ ის ერთი კვირაა, რაც მოვალეობის შესრულებას შეუდგა. მას არ გადმოუბარებია ხარისხის დოკუმენტაცია, არ გაცნობია დეტალურად დასკვნებს და არ არის ინფორმირებული, რა გაკეთდა დაწესებულებაში ამ მიმართულებით. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები და პრაქტიკა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ საგანამანათლებლო პროგრამები; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან.

შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
რეკომენდაციები: დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი

2.1. დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს, მათ შორის: 2.1.1. დაწესებულების ფართი მისამართების მიხედვით (საერთო ფართი; სასწავლო ფართი; დამხმარე ფართი); 2.1.2. სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, მათ შორის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებას მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებს, კერძოდ: **ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი** - შპს "თბილისის საერთაშორისო აკადემიას" შპს "სოლოსგან" იჯარით აღებული აქვს შენობა, ფართობით 1200 კვ. მ, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, გიორგი სააკაძის II გასასვლელი, N11ა. დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით, შპს "თბილისის საერთაშორისო აკადემიაში" სასწავლო პროცესი დაწყებულია 2017 წლის 23 ოქტომბერს, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ხელშეკრულება აღნიშნული ფართს იჯარის შესახებ დამოწმებულია 2017 წლის 8 დეკემბერს, ანუ მონიტორინგის ვიზიტის მიმდინარეობის დროს. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ დაწესებულება მდებარეობს საავტომობილო გზის პირას და მასთან ახლოს არ არის შუქნიშანი ან ქვეითთა გადასასვლელი, რაც უზრუნველყოფდა სტუდენტთა უსაფრთხო გადაადგილებას.

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, მათ შორის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები - დასტურდება როგორც შენობის ვიზუალური დათვალიერებით, ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ხელშეკრულება N 1, 16.06.2014, სასაქონლო ზედნადებები). აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის ვიზიტის პირველ დღეს კომპიუტერულ კლასში განთავსებული კომპიუტერები არ იყო მიერთებული დენის წყაროსთან. ერთ-ერთ აუდიტორიაში განთავსებული იყო პროექტორი, კომპიუტერის ქეისი და კლავიატურა, რომელთა გამოყენება საგანმანათლებლო მიზნებისათვის ვიზუალური დათვალიერებით არ დადასტურდა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, რადგან მოცემულ ეტაპზე სასწავლო პროცესში მხოლოდ ორი სტუდენტი იყო ჩართული, ლექტორები საგანმანათლებლო მიზნებისთვის საკუთარ ლეპტოპებს იყენებენ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (მომზადების თარიღი: 08.12.2017); ○ შიდა აზომვითი ნახაზი; ○ სასაქონლო ზედნადებები; ○ ხელშეკრულება N 1, 16.06.2014; ○ ვიზუალური დათვალიერება; ○ ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენელთან.
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
რეკომენდაციები: რეკომენდირებულია, დაწესებულებასთან განთავსდეს შუქნიშანი ან ქვეითთა გადასასვლელი, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების უსაფრთხო გადაადგილებას.

2.2.
დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები უზრუნველყოფს დაწესებულების მისიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ მონიტორინგის ვიზიტის დროს გადამოწმდა დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები. დაწესებულების სტრუქტურის ბოლო ვერსია, რომლის შესახებ ინფორმაციას ვერ ფლობს ადმინისტრაციის დიდი ნაწილი (კანცლერი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტის დეკანი) შეიცავს გარკვეულ უზუსტობებს. კერძოდ, ორჯერ არის მითითებული ბიზნესის და სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი. გარდა აღნიშნული ტექნიკური ხარვეზისა, სტრუქტურაში არ ჩანს იმავე სახელწოდების ფაკულტეტი, რომელიც აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციის მხრიდან ხშირად იქნა

გაჟღერებული და რომლის შესახებ ინფორმაციაც განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე. ○ ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები არ ფლობენ ზუსტ ინფორმაციას მათი უფლებებისა და ფუნქცია-მოვალეობების შესახებ. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ადმინისტრაციული პერსონალი ახალია და ფაქტობრივად ხდება ამ ფუნქციების ხელახალი გადანაწილება. რაც შეეხება უსდ-ის სტრუქტურის მისიასთან შესაბამისობას, დაწესებულების მისია ზოგადია და ბუნდოვანი : „აკადემიის მისიაა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, შექმნას ეროვნული ღირებულებების მატარებელი ისეთი სახის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ადაპტირებული იქნება არამხოლოდ ქართულ საგანმანათლებლო სივრცესა და მის მოთხოვნებთან, არამედ შესაბამისობაში იქნება ევროპულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან“. მაგ. გაუგებარია, რა იგულისხმება ევროპულ საგანმანათლებლო სტანდარტებში. ○ გუნდი აცხადებს, რომ აპირებს მისიისა და სტრატეგიის გადახედვას და ამ მიზნით შექმნილია ჯგუფი. ჩატარებულია ერთი შეხვედრა. ზემოაღნიშნული მოსაზრებების გამო უსდ-ის სტრუქტურული ერთეულების მისიით გათვალისწინებული ფუნქციების უზრუნველყოფა ეჭვს იწვევს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მისია; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების დებულებები (ამ პირებთან დადებული ხელშეკრულებები); ○ დაწესებულების ვებგვერდი.
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
რეკომენდაციები:დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები უნდა იყოს საჯარო და გაზიარებული.

2.3.
დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შენობის თითოეულ სართულზე განთავსებულია სათანადოდ აღჭურვილი სველი წერტილები. ვიზიტის დროს ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა გათბობის საშუალებების არსებობის ფაქტი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში ვიზიტის პირველ დღეს ძალიან ციოდა. განსაკუთრებით დაბალი ტემპერატურა იყო კომპიუტერულ კლასში, სადაც ვიზიტის განმავლობაში მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. დაწესებულებას არ აქვს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა. ვიზიტის მეორე დღეს, დაწესებულებას რამდენიმე საათი არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია. დაწესებულებას აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ ვიზუალური დათვალიერება
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
რეკომენდაციები: ○ ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდების უზრუნველყოფა; ○ გათბობის საშუალებების მოწესრიგება სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ტემპერატურის უზრუნველსაყოფად.

2.4.
დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: 2.4.1 ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; 2.4.2. თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; 2.4.3. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; 2.4.4. წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ მონიტორინგის ვიზიტის პირველ დღეს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, კერძოდ ცეცხლმაქრები, დასაწყობებული იყო ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილ სივრცეში და არ იყო ხელმისაწვდომი შენობის შიგნით. ვიზიტის მეორე დღეს მოხდა მათი დამონტაჟება კედლებზე. ექსპერტების მოთხოვნის მიუხედავად, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ცეცხლმაქრების ვარგისიანობის დამადასტურებელი დოკუმენტები. მონიტორინგის ვიზიტის პირველი დღის მონაცემებით დგინდება, რომ სწავლის დაწყებიდან მეშვიდე კვირამდე ცეცხლმაქრები არ იყო ხელმისაწვდომი შენობის ყველა სართულზე. ასევე, ვერ მოხდა მათი ვარგისიანობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა. ამიტომ, საგულისხმოდ მიგვაჩნია, რომ დაწესებულება არ უთმობს სათანადო ყურადღებას ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებას . ○ ევაკუაციის გეგმები წარმოდგენილი იყო თვალსაჩინო ადგილას და თარიღდებოდა 05.09.2014. მათ ხელს აწერდა ყოფილი რექტორი, ირაკლი მორგოშია. ○ დაწესებულებას შენობაში გამოყოფილი ჰქონდა ფართი ექიმის კაბინეტისთვის, რომელიც ვიზიტის დასაწყისში იყო ცარიელი. მოგვიანებით დაიწყო ფართის საჭირო ინვენტარით აღჭურვა და შესაძლებელი გახდა სამედიცინო მომსახურეობის ცენტრის უფროსის ნახვაც, რომელიც ასევე წარმოდგენილია საშტატო განრიგში, თუმცა ჯერ კიდევ არ იყო შეძენილი პირველადი დახმარების ნაკრები.

- დაწესებულებას ჰყავს წესრიგის უზრუნველყოფის ერთი თანამშრომელი. ადმინისტრაციის განცხადებით, როდესაც სტუდენტების რაოდენობა გაიზრდება, ისინი გეგმავენ დაცვის სამსახურთან კონტრაქტის გაფორმებას და ამჟამად ვერ ხედავენ დაცვის სამსახურის საჭიროებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შენობის ვიზუალური დათვალიერება;
- საშტატო განრიგი;
- აკადემიის კანცლერის 2017 წლის 10 ოქტომბრის №8/02-06 ბრძანება შპს თბილისის საერთაშორისო ბიზნესის აკადემიის დაცვის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და სამედიცინო მომსახურების ცენტრის უფროსთან.

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

რეკომენდაციები:

- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სათანადო ზომების მიღება;
- პირველადი სამედიცინო დახმარების ნაკრების შეძენა;
- დაცვის თანამშრომელთა კონტინგენტის გაზრდა.

2.5.

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შენობაში შესასვლელი, ისევე როგორც ბიბლიოთეკაში ჩასასვლელი, ადაპტირებულია. კიბეებზე არის მოძრავი ასასვლელი (ლითონის გადასატანი პანდუსები), თუმცა ეჭვს იწვევს ის ფაქტი, თუ დამოუკიდებლად რამდენად შეძლებს ეტლით მოსარგებლე ამ პანდუსებზე გადაადგილებას. შენობაში არის ადაპტირებული სველი წერტილი პირველ სართულზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შენობის ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

რეკომენდაციები:

2.6.

მატერიალური რესურსი, მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- დაწესებულებაში არსებული სასწავლო კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა (კომპიუტერების ნაწილში დაინსტალირებული windows 2007, ნაწილში კი - 2010) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებს.
- ვიზიტის პირველ დღეს ყველა კომპიუტერი იყო დენის წყაროდან გამოერთებული და ადმინისტრაციამ რამდენიმე საათის შემდეგ შეძლო კომპიუტერების ჩართვა. აღნიშნული ფაქტისა და კომპიუტერულ კლასში არსებული დაბალი ტემპერატურის გამო, ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინტერნეტის დაინსტალირების ინვოისის გათვალისწინებით, რომელშიც ინსტალაციის თარიღად მითითებულია 26 ნოემბერი, სავარაუდოა, რომ კომპიუტერული ოთახის გამოყენება არ ხდებოდა საგანმანათლებლო მიზნებისათვის.
- ასევე, აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს იყო მხოლოდ 1 პროექტორი (204-ე ოთახში), სადაც პირველად წარმოდგენილი სასწავლო ცხრილის მიხედვით ტარდებოდა ინფორმაციული ტექნოლოგიების სასწავლო კურსი. ოთახში იდგა მხოლოდ 1 პროექტორი, კლავიატურა და კომპიუტერის ქეისი (პროცესორი). მას შემდეგ რაც დაისვა კითხვა, თუ როგორ ტარდებოდა ამ ოთახში ლექცია, განგვიმარტეს, რომ ლექტორი საკუთარი ლეპტოპით ატარებდა ლექციებს. მოგვიანებით განგვიმარტეს, რომ ცხრილში იყო შეცდომა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ლექცია ტარდებოდა პირველ სართულზე, კომპიუტერულ კლასში.
- ვიზიტის განმავლობაში დაწესებულების მთელს ტერიტორიაზე უზრუნველყოფილი იყო ინტერნეტზე წვდომა, თუმცა დაწებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით დგინდება, რომ შენობაში ინტერნეტის ინსტალაცია განხორციელდა სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ (2017 წლის 26 ნოემბერს)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შენობის ვიზუალური დათვალიერება;
- შპს AIRNET-ის ინვოისი No 11.26.2, 26.11.2017 წ.და გადახდის ქვითარი.

შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
რეკომენდაციები: დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს რესურსების მზაობა და მათი უწყვეტად გამოყენების შესაძლებლობა სტუდენტებისთვის და აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის.

2.7.
საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებაში არ არის დანერგილი სასწავლო პროცესის მართვის, საქმისწარმოების ან ელექტრონული მართვის სხვა სისტემები, თუმცა შენობა უზრუნველყოფილია კომპიუტერებითა და ინტერნეტით, რაც იძლევა დაწესებულების მართვაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას. დაწესებულების აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ შორის კომუნიკაციისთვის ხშირად გამოიყენება ელექტრონული ფოსტა. აკადემიურმა პერსონალმა ასევე, განაცხადა, რომ არსებულ სტუდენტებს აწვდიან ლიტერატურას ელექტრონული ფორმით, თუმცა სტუდენტთან გასაუბრებისას სასწავლო მასალის ელექტრონული ფოსტით მიწოდება არ დადასტურდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ ინტერვიუს შედეგები; ○ შენობის ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
რეკომენდაციები: სასწავლო პროცესის მართვისა და საქმისწარმოების ელექტრონული სისტემების დანერგვა.

2.8.
დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას, ასევე უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ დაწესებულებაში ვიზიტის დროს მიმდინარეობდა ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილი ფართის კეთილმოწყობა. ბიბლიოთეკის წარმომადგენლის განცხადებით, ელექტრონული და ბეჭდური ფონდის განთავსება დაგეგმილი იყო სამკითხველო დარბაზსა და წიგნსაცავში, თუმცა დაწესებულების მისამართის ცვლილების გამო აღნიშნულის დროული განხორციელება ვერ მოხერხდა. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში სწავლის დაწყებიდან შვიდი კვირის შემდეგ წიგნები ჯერ კიდევ ყუთებში იყო მოთავსებული და სტუდენტებს არ ჰქონდათ ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზით სარგებლობის შესაძლებლობა. ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ექსპერტებს წარუდგინა ელექტრონული კატალოგი, რომელშიც შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გადამოწმების შედეგად დადასტურდა სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის არსებობა, თუმცა ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო მათი მატერიალურად ფლობის შემოწმება ვერ მოხერხდა. დაწესებულებაში ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფილია წვდომა საერთაშორისო ჟურნალების ელექტრონულ ბაზებზე, შესაბამისი ინფორმაცია და ელექტრონული ბაზების ჩამონათვალი განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე დაწესებულების აკადემიური პერსონალისთვის. თუმცა ამ ბაზების გამოყენების ფაქტი ვერ დადასტურდა. ასევე, არ იყო წარმოდგენილი წინა წლებში ბაზების გამოყენების სტატისტიკა. ○ ვიზიტის პირველ დღეს ვერ მოხერხდა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელებზე წვდომის შემოწმება, ბიბლიოთეკარის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეული იყო მომწოდებლის მხრიდან არსებული ტექნიკური ხარვეზით. ვიზიტის მეორე დღეს ტექნიკური ხარვეზი გამოსწორდა. მონიტორინგის ექსპერტმა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელის მეშვეობით, შემთხვევითი შერჩევის გზით მოიძია საერთაშორისო ურთიერთობებისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სამეცნიერო სტატიები. ქსელში აღნიშნული მიმართულებების სამეცნიერო ლიტერატურის არსებობა დადასტურდა, თუმცა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია სტატიის შესახებ და არა სრული ტექსტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ ბიბლიოთეკის ვებგვერდი; ○ შენობის ვიზუალური დათვალიერება; ○ ინტერვიუები ბიბლიოთეკართან, სტუდენტთან, აკადემიურ პერსონალთან.
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

რეკომენდაციები: ○ წიგნების ბეჭდური ფონდის და სამკითხველო დარბაზის მოწესრიგება და მათი სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

2.9.
დაწესებულებაში არსებობს ბიბლიოთეკის კატალოგი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ დაწესებულებაში არსებობს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი. ინტერვიუს დროს ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა აღნიშნა ბარათული კატალოგის არსებობაც, თუმცა ეს ფაქტი ვერ დადგინდა ბიბლიოთეკის კეთილმოუწყობლობის გამო. ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილი სივრცე მდებარეობს შენობის გარეთ, ბიბლიოთეკაში არ არის სათანადოდ მოწყობილი სამკითხველო დარბაზი, არ არის გათბობის საშუალებები. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი განთავსებულია ყუთებში, ბიბლიოთეკის ვებგვერდი განახლების პროცესშია. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები არ არის ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის. ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილ სივრცეში განთავსებულია საყოფაცხოვრებო ნივთები და ცეცხლმაქრები. მონიტორინგის დროს ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი არ ფუნქციონირებდა და ბიბლიოთეკარი ორივე დღეს ჩამოვიდა ქალაქ თელავიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ შენობის ვიზუალური დათვალიერება; ○ დაწესებულების ვებგვერდი.
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
რეკომენდაციები: ○ აუცილებელია ბიბლიოთეკისა და სამკითხველო დარბაზის კეთილმოწყობა, საგანმანათლებლო მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანა; ○ ბიბლიოთეკის ვებგვერდის განახლება და მასზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსება; ○ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების შესახებ სტუდენტების ინფორმირება სათანადო საშუალებებით.

2.10.
დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, თუმცა არ არსებობს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა, მატერიალურად წარმოდგენილი საქმისწარმოების წიგნები არ არის სათანადო ფორმით წარმოებული, არ დასტურდება მათი მთლიანობა და უწყვეტობა. წიგნები არ არის აკინძული და დამოწმებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ წარმოდგენილი დოკუმენტები და საქმისწარმოების წიგნები; ○ ინტერვიუს შედეგები.
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
რეკომენდაციები: ○ სასურველია, დაწესებულებას ჰქონდეს ელექტრონული საქმისწარომების წესი, ხოლო საქმისწარმოების მატერიალურად შენახვისას აუცილებელია მათი სათანადო ფორმით წარმოება (მაგ. აკინძვა, დამოწმება)

2.11.
ვებ-გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, აკადემიური პერსონალი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ დაწესებულებაში ვიზიტამდე ვებგვერდზე იყო განთავსებული ერთადერთი დოკუმენტი - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. ვიზიტის პირველ დღეს, ისევე როგორც ვიზიტამდე პერიოდში, ვებგვერდი არ ასრულებდა საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებული საკონტაქტო და სხვა ინფორმაცია იყო მოძველებული, მაგალითისთვის, ვებგვერდის მიხედვით, დაწესებულებაში იყო მედიცინის ფაკულტეტი, რომლის არსებობაც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და ინტერვიუს შედეგებით არ დადასტურდა. ვიზიტის მეორე დღეს ვებგვერდზე საკმაოდ ბევრი ცვლილება განხორციელდა, რისი აღნიშვნის შემდეგ ინტერვიუზე განგვიმარტეს, რომ ვებგვერდის გადმობარების პროცესი გაჭიანურდა, რის გამოც მისი დამუშავება ახლახანს დაიწყო და ეს მიმდინარე პროცესია. აღსანიშნავია, რომ ვებგვერდზე განთავსებული ბოლო სიახლე (დეკემბრისთვის) 18 სექტემბრით თარიღდება.

ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში ინფორმაციის მოძიება შესაძლებელი იყო მხოლოდ ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულების ვებ-გვერდი www.tsa.ge ;
- ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან.

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

რეკომენდაციები:

- ვებგვერდის განახლება და მასზე ყველა საჭირო ინფორმაციის განთავსება;
- ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგზე თავისუფალი წვდომის დაშვება.

2.12.

უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევების დაფინანსება.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ვიზიტის დროს წარმოდგენილი იქნა უსდ-ის ბიუჯეტის შესახებ 2017 წლის 6 ოქტომბრის №02-03 დადგენილება, რომელშიც გათვალისწინებულია აკადემიის აფილირებული აკადემიური პესრონალის მიერ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში სტატიის დაფინანსება (7 000 ლარი), კვლევების დაფინანსება (10 000 ლარი), ახალი ლაბორატორიების მოწყობა და განვითარება (50 000 ლარი). აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ ამ ინსტიტუციასთან თანამშრომლობის ერთ-ერთი მოტივი სწორედ საერთაშორისო კონფერენციებში მათი მივლების შესაძლებლობა იქნებოდა.
- თუმცა ბიუჯეტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია არც დოკუმენტალურად და არც ინტერვიუს დროს ექსპერტთა ჯგუფს არ მიუღია. კანცლერმა განაცხადა, რომ ბიუჯეტს მფლობელები გეგმავენ. ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა დაწესებულების მფლობელებთან შეხვედრა. ჯგუფი მთელი ვიზიტის განმავლობაში ელოდებოდა მფლობელებს, თუმცა ისინი არ გამოცხადნენ. შესაბამისად ეს ბიუჯეტის მდგრადობის და უზრუნველყოფის საკითხი ბუნდოვანი დარჩა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის კანცლერის 2017 წლის 6 ოქტომბრის №02-03 დადგენილება;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ×არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
რეკომენდაციები: ○ უნდა არსებობდეს ბიუჯეტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და გარანტირებული უნდა იყოს ბიუჯეტის მდგრადობა.

2.13.
შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები . აღსანიშნავია, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2017-2018 წლისთვის ვიზიტის მსვლელობისას არ იყო შემუშავებული, ხოლო ექვსწლიანი სამოქმედო გეგმის დიდი ნაწილი შეუსრულებელია. დაწესებულებაში შექმნილია სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფი. აღნიშნულ ჯგუფთან ინტერვიუს შედეგად აღმოჩნდა, რომ ჯგუფი არ იცნობს დაწესებულებაში არსებულ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს და დაწესებულების მენეჯმენტის ცვლილების შედეგად, იგეგმება მათი გაუქმება. ჯგუფმა განაცხადა, რომ მიმდინარეობს მუშაობა ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე, სამუშაო ჯგუფის შეხვედრები არ დასტურდება დოკუმენტურად, თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განცხადებით, შეხვედრა ვიზიტამდე შედგა ორჯერ. იგეგმება მისიისა და სტრატეგიული გეგმის გაზიარება. ვიზიტის დროს არც დოკუმენტურად დადასტურდა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის არსებობა და არც ინტერვიუს შედეგებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ აკადემიის რექტორის N ბ/01-70, 16.10.2017 ბრძანება „შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი“.
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

რეკომენდაციები: სასურველია, სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმებზე მუშაობისას მოხდეს დაწესებულების წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინება, მათ შორის - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტების დასკვნებისა და ავტორიზაცის ოქმის განხილვის გზით. ასევე, აუცილებელია სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმებზე მუშაობის პროცესში ჩართული იყოს ყველა დაინტერესებული მხარე

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი

3.1.
დაწესებულების აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის, მკვლევართა და მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ ვიზიტის დროს გადამოწმდა პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები, მათი კვალიფიკაციის, სამეცნიერო კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობის ამასახველი დოკუმენტაცია. დოკუმენტაციების შესწავლით და ინტერვიუთი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დგინდება, რომ პროგრამები ხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ პერსონალის პირადი საქმეები; ○ ინტერვიუს შედეგები
შეფასება: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
რეკომენდაციები:

3.2.
დაწესებულებაში სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა დაწესებულების სახისა და პროგრამების რაოდენობის მიხედვით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ დაწესებულება ახორციელებს 4 საბაკალავრო და 1 ქართულ ენაში მომზადების პროგრამას. ამჟამად აქტიური სტუდენტები ირიცხებიან 2 საბაკალავრო (4 სტუდენტი) და ქართულ ენაში მომზადების (1 სტუდენტი) პროგრამაზე. საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენს 44-ს (9 პროფესორი, 23 ასოც. პროფესორი და 12 ასისტენტ პროფესორი). სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა უზრუნველყოფს პროგრამებით განსაზღვრული საგანმანათლებლო მიზნების მიღწევას. ○ ვიზიტის დროს ერთ-ერთ ლექციას ესწრებოდა 2 სტუდენტი. მათ შორის ერთმა აღნიშნა, რომ ხშირად ვერ ახერხებს ლექციებზე დასწრებას. სტუდენტებთან ინტერვიუს დროს კი წარმოდგენილი იყო მხოლოდ 1 სტუდენტი. რეალურად, ეს სტუდენტი ერთადერთია, ვინც ლექციებს რეგულარულად ესწრება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი და მათი კვალიფიკაციის განმახორციელებელი დოკუმენტაცია (CV, კვალიფიკაციის, პროფესიული გამოცდილების, სპეციალური მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია); აღნიშნულ პერსონალთან დადებული მოქმედი შრომითი ხელშეკრულებები; ○ საგანმანათლებლო პროგრამები; ○ სტუდენტთა პირადი საქმეები, მათთან დადებული ხელშეკრულებები; ○ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრის მონაცემები.
შეფასება: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
რეკომენდაციები:

3.3.
საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ხორციელდება მხოლოდ მოწვეული პერსონალის, მკვლევარების ან მასწავლებლების მიერ.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ უსდ-ს ჰყავს აკადემიური პერსონალი. შესაბამისად არც ერთი პროგრამა არ ხორციელდება მხოლოდ მოწვეული პერსონალის, მკვლევარების ან მასწავლებლების მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის

ჩამონათვალი და მათი კვალიფიკაციის განმახორციელებელი დოკუმენტაცია (CV, კვალიფიკაციის, პროფესიული გამოცდილების, სპეციალური მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია); აღნიშნულ პერსონალთან დადებული მოქმედი შრომითი ხელშეკრულებები; ○ საგანმანათლებლო პროგრამები.
შეფასება: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
რეკომენდაციები:

3.4.
აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკადემიური/მოწვეული პერსონალის ნაწილმა ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ განცხადება დაწესებულებაში კონკურსის შესახებ განთავსებული იყო გაზეთში „ახალი თაობა“, საიდანაც შეიტყვეს აღნიშნული კონკურსის შესახებ. ერთ-ერთი თანამშრომელის თქმით, ყველა საკონკურსო განაცხადი დაკმაყოფილდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ ინტერვიუს შედეგები; ○ საკონკურსო მასალები.
შეფასება: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
რეკომენდაციები:

3.5.
აკადემიურ პერსონალთან, მოწვეული პერსონალთან, მკვლევარებთან ან მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები დაწესებულებამ წარმოადგინა ვიზიტის მსვლელობისას. ხელშეკრულებებში განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი და მოქმედების ვადა, დამსაქმებლის უფლებები და ვალდებულებები, დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები, შრომის ანაზღაურების ოდენობა. ხელშეკრულებები გაფორმებულია 2020 წლამდე. თუმცა პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოირკვა, რომ პერსონალი ამ ინფორმაციას არ ფლობს. აკადემიურმა პერსონალმა ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ დაწესებულების ყოფილ მფლობელებთან მათ გაწყვიტეს შრომითი ურთიერთობა, თუმცა სამართლებრივად შრომითი ხელშეკრულების გაუქმება არ მომხდარა. ახალი მფლობელები მათ ტელეფონით დაუკავშირდნენ და სთხოვეს მუშაობის გაგრძელება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ ინტერვიუს შედეგები; ○ აკადემიურ/მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
რეკომენდაციები: დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს აკადემიური/მოწვეული პერსონალის მდგრადობა; აკადემიური/მოწვეული პერსონალი ინფორმირებული უნდა იყოს ხელშეკრულების არსებითი პირობების შესახებ.

ხელმოწერები:

05.02.2018